

ოქმი #22
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

2019 წელი, 2 სექტემბერი
 ქ. ოზურგეთი
 12⁰⁰ – 13⁰⁰ საათი

თავმჯდომარეობდა: დ. დარჩია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ. ღურჯუმელიძე, ლ. საჯაია, ე. გორდელაძე, გ. კილაძე, ლ. ბიგვავა, გ. ჩაგანავა, ტ. აროშიძე, შ. გოგიბერიძე, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ბ. დოლიძე, გ. თოიძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 12, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო დღის წესრიგი, რომლის ერთი საკითხის - (ინიციატორი ბიუროს წევრი ლ. საჯაია) - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში არსებული სამოქალაქო განათლების კლუბის „მომავლის თაობა“ საპროექტო წინადადებების შესახებ“ - დამატებით დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ლელა საჯაია
 ეროდი გორდელაძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე

ამ საკითხის განხილვისას გამოითქვა აზრი საიჯარო ქირის სიმცირეზე.

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 3 ივლისის განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე

საკრებულოს აპარატს (ნ. თავდუმაძე) დაევალა ცვლილების პროექტის მომზადება.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში არსებული სამოქალაქო განათლების კლუბის „მომავლის თაობა“ საპროექტო წინადადებების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ლელა საჯაია

თანამომხსენებელმა, საკითხის ბიუროს დღის წესრიგში დამატების ინიციატორმა ლ. საჯაიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერისადმი მიმართვას - პროექტების დაფინანსების თაობაზე - მეტი ლეგიტიმაცია ექნება თუ განხილული იქნება საკრებულოს სხდომაზე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ.

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ გააკეთა განცხადება სოფელ შრომის საჯარო სკოლასთან არსებული TV-2 - ს შესახებ.

გადაწყვიტეს:

დღის წესრიგში გათვალისწინებული სამი საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო